# შოლტი

№1



ღარიბ გლეხობას ვულოცავთ
„შოლტის" გამოსვლის—დღეობას.
ბოლოს მოუღებს სოფელში
კულაკის ძალმომრეობას...

ერთიან მოსპობს თუ სადმე
კიდევ ზოზინობს ყორები,
თუ კიდევ სადმე არიან,
მცონარა — მუქთახორები...

ვჭარეთ მოსთქვამდეს დღიდან,
სოფლის ორგული ყოველი:
მღვდელი, ჩარჩი და კულაკი —
გლეხობის სისხლის მწოველი!



— ნუ ცელქობ, შვილო, ხომ ხე დავ მამა შენი რადიოს უსმენს?!

# შოლტიანის მოწოდება

ამხანაგებო!
ზოგჯერ თუ ვიბრძვით
„ფორდზონითა“ და „ხოლტით“—
ზოგჯერ ჩვენს მტრებს უნდა
შეუტიოთ შოლტით!
მართლაც ჩვენში ეხლა
რამდენი არის მტერი!
რამდენი არის საქმის
დამღუპველი და მტერი!
რამდენი ათრევს პორტფელს,
ნამდვილად კი ზის უქმად,
უყვარს ქალალდის ჩხაპა
და გემრიელი ლუკმა!..
პირში გვიცინის ძმურად,
გული სავსე აქვს შხამით,
ხჭამს ჩვენი ქვეყნის დოვლათს
და ვერ გამძღარა ჭამით.
მუშა და გლეხი ზიზღს გვრის,
თვითონ ღირსია ზიზღის, —
ეს ცარიელი გუდა—
ბრძენივით ყველგან გვიზის!..
ზოგი მოღვაწე ჩვენი
„მოციქულია ზეცის“.
გუშინ ყოფილა მღვდელი, —
დღეს სახელი აქვს სპეცის.
გუშინ „პრისტავი“ იყო
რკინის მუშტით და ლახტით,
დღეს საბჭოთა აპარატში
მამალ თხასავით დახტის.
ვაჭრებს ხომ აღარ ვიტყვით,
ვინ არ ყოფილა ვაჭრათ!
კოოპერატივს სჭამენ
ბითუმათ და ნაჭრათ.
ბითუმითა და ნაჭრათ.
რომელი ერთი გითხრათ,
ყველა ერთმანეთს აგავს,
ბოლო არ უჩანს, არა,
ამდენ ჭუჭყსა და ნაგავს!..
ესეც არ იყოს, სოფლად
ზოგი თუ-გუთანს ლესავს,
ზოგი სახალხო დოვლათს
ანიავებს და სთესავს.
ზოგი ხვნა - თესვის ნაცვლად
ქეიფსა მართავს ორწილს
და ტრაქტორებით იხდის
ქელეხს, ნათვლას და ქორწილს.
ხდება ისეც, რომ კულაკს
შველის ნაყური ვაზის,
და პურმარილით სოფელს
ისევ ქეჩოზე აზის.
არც გადასახადს იხდის,
არც სხვა სიკეთეს იკლებს,
და როცა უნდა გლეხებს,
აწიოკებს და იკლებს!
ამაზე კიდევ ბევრი
შეიძლება რომ ითქვას,
მაგრამ სჯობს მოკლეთ მოვჭრა
არ გავაგრძელებ სიტყვას!.
ჰო და ამ შხამის ბუდეს
უნდა მოეღოს ბოლო.
ვინც ამას ჰფარავს, ისაც
სხვას უნდა მივაყოლოთ!
უნდა ამოვჭრათ ძირში
ყველა ბოლმა და გესლი,
რომ აღარ დარჩეს არსად
მისი ჯიში და თესლი!
ამხანაგებო, შოლტი
აი აქეთკენ მიდის.
უტევს სუყველას ვინც კი
სინდისს გროშებზე ყიდის!
დაუზოგავათ მოსცხებს
მაგარ ეკლიან სახრეს,
ვინც ელობება გზაზე
ჩვენს მუშურ-გლეხურ საქმეს
ამიტომ მოგიწოდებთ—
ჩვენთან შემოკრბეთ ყველა,
ვისაც გულში გაქვთ მართლა
ამ დიდი საქმის შველა.
და ხან მიწას თუ ვებრძვით
„ფორდზონითა“ და „ხოლტით“,
დღეს, ჩვენს მტრებს უნდა მაგრა
დავცხოთ გლეხური „შოლტით“.

შოლტიანი.

# კ რ ე ბ ა ზ ე

ალმასკომის საანგარიშო კრებაზე მომხსენებელმა დაიწყო მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მთელი ორი საათი ილაპარაკა მხოლოდ ინგლისზე და შემდეგ განაცხადა:

— ეხლა გადავიდეთ საფრანგეთზე-ო.

— ხედავ, რას გვიპირებს? შიშით შემოიძახა ერთმა გლეხმა

— რა ენაღვლება, ნავარდობს სხვადასხვა ქვეყნებში!

ერთი მსმენელთაგანი წამოხტა და შეეკითხა ორატორს:

— ინგლისი და საფრანგეთი ძალიან არიან დაშორებული ერთმანეთს?

— საფრანგეთს და ინგლისს შუა 20-25 ვერსი მაინც იქნება — უპასუხა მომხსენებელმა.

— არა ყოფილა შორს, საფრანგეთიდან ჩვენს სოფლამდე ალბათ ბევრიათ მეტი მანძილია?

— რასაკვირველია, ერთი ასჯერ მეტი მაინც იქნება!

ცნობისმოყვარე მსმენელი შეხტა სკამზე და ასე მიმართა კრებას:

— აბა ბიჭებო, შეიკარით გუდანაბადი და მიბრძანდით სახლებში.— მამაცხონებულმა მომხსენებელმა ინგლისიდან საფრანგეთში გადასვლას 2 საათი მოანდომა, სანამ საფრანგეთიდან ჩვენ სოფლამდე ჩამოვა კარგი ერთი ქეიფიც გავა და იქამდე აქ ხომ არ ვისხდებით?!

ვინმე.

## უებარი წამალი



— სიმსუქნე მაწუხებს... ექიმთან მივდივარ, ისეთი წამალი უნდა ვთხოვო, რომ გავხდე.

— ექიმი რათ გინდა? აგერ მალე ჩვენს სოფელში კოლექტივი ჩამოყალიბდება და ჯავრი გაგახმობს.

# თავფქვილაძე—აგრონომი

მოგეხსენებათ, თავფქვილაძე განთქმული კაცია. მას სოფელში ცალი არ შყავს. ყველას აჯერებს თავის სიბრძნეში და გამოცდილებაში.

დაიწყო თუ არა შემოდგომის თესვის სამზადისი, გლეხობა მუშაობას შეუდგა; ზოგმა ტრიერი გაამზადა, ზოგმა თესლს უწამლა, ზოგი კი აგრონომთან გაეშურა რჩევა - დარიგების საკითხავათ.

— რის აგრონომი, რის ფლავი და ბოზბაში! მე, სხვას ვკითხო რჩევა-დარიგება? ის კაცი — რა კაცია, ვინც სხვისი აზრით და ჭკუით ცხოვრობს! — დიდი რიხით განუცხადა თავფქვილაძემ მეზობლებს.

გლეხებმა აგრონომის რჩევა-დარიგებას დაუჯერეს. ჯერ დაარკვიეს და გაწმინდეს თესლი, შემდეგ ფორმალინით უწამლეს და სათესი მანქანით დათესეს.

— რა საჭიროა ტრიერი, ფორმალინი, ამდენი წვალება და დავიდარაბა?! ხომ ვიცით, რომ ადუღებულ წყალში ყველა ბაცილა იღუპება? ამას არც მანქანები უნდა, არც აგრონომი, არც წამალი! — სთქვა თავფქვილაძემ და მთელი სათესლე ხორბლი უყოყმანოთ, დიდ საარაყე ქვაბში, ადუღებულ წყალში მოაქცია.

თესლით სავსე ტომრები ასე ნაწილ - ნაწილ ადუღა წყალში და მეორე დღესვე თესვას შეუდგა!

— ხორბალი რამდენიც სველი იქნება უკეთესია, უფრო მალე დაღივდება, მალე აბიბინდება ჯეჯილი!.. ამტკიცებდა ჩვენი „ბრძენი“..

თავფქვილაძე ჯეჯილის მოლოდინში ყოველ დღე დაიარება ნახნავში, მაგრამ მოსავლის კვალი არსად სჩანს...

არ სჩანს, მაგრამ მაინც გულს არ იტეხს და ჭირნახულის ასაღებად ტომრებს ამზადებს.

ვნახოთ როგორი მოსავალი ექნება!

სოლი.




თავო ჩემო. ბედი არ გიწერია—
სიტყვა „როდის“ ვხედავ ჩემი მტერია.

## ტყეს „აშენებენ“



— რათ სჩეხთ ამ ძველ ტყეს?

— ახალი გავაშენეთ და ეს ხეები ლობეთ უნდა შემოვავლოთ.

# აგიტატორი

— კრებას გახსნილად ვაცხადებ!— გაისმა სიჩუმეში თემსაბჭოს თავმჯდომარის რიხიანი ხმა. — სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქიდან ჩამოსული აგიტატორი, აი ეს ამხანაგი! — მიაშვირა ხელი თავმჯდომარემ ახალგაზრდა კაცზე.

აგიტატორმა ყელსახვევი გაისწორა და წინ წამოდგა.

— ამხანაგო გლეხებო! — დასჭექა მომხსენებელმა — სოფლის წინაშე დღეს მრავალი გადაუდებელი ამოცანა სდგას.

— დაიცა, ნუ ხმაურობ! — უკმაყოფილოდ მიმართა ერთმა გლეხმა მეორეს, რომელსაც ცხვირი დააცემინა, — შენმა ცხვირმა უკანასკნელი სიტყვა არ გამაგონა!

მომხსენებელი განაგრძობდა:

— კოლექტივიზაციის საქმეს არ სჭირდება პოპულიარიზაცია. ეს მისწრაფება თქვენში წამოიჭრა სტიქიურად. უნდა მოვახდინოთ მხოლოდ ძალთა კონცენტრაცია და ამის შემდეგ ადვილი იქნება ყველაფერის რეალიზაცია.

— ა? რაო? — იკითხა მეორე გლეხმა, რომელსაც რამოდენიმე წუთის წინ ცხვირმა დააცემინა.

— მასების ინიციატივა ხმას ჩააკმენდინებს კულაკურ დრაკონებს. ეს არ არის აბსტრაქცია. ეს არ არის გიპოტეზა. ამის სიმპტომები უკვე გვაქვს და მალე იქნება ის დრო, როდესაც ინდუსტრიიალური ტემპით წახალისებული სოფელი ყოველგვარ ინდიფერენტიზმს მოსპობს...

— ა? რაო? — ისევ იკითხა ცნობისმოყვარე მეორე გლეხმა.

— რაო და, მოსპობსო! — აუხსნა პირველმა.

— ვისო? — არ ეშვებოდა მეორე.

— დაიცა, იტყვის... ვილაც ოხერი იქნება ალბად!

მომხსენებლის თვალებს თანდათან ცეცხლი ეკიდებოდა. მთელი საათი ილაპარაკა შეუსვენრად.

— ის სპეციფიური ძალა, რომელიც სოციალურ ფენების დიფერენციაციას მოჰყვა, არის თავდები იმისი, რომ სოფელი დაადგა სოციალიზმის გზას და ის, რაც აქამდე მრავალისათვის იყო მხოლოდ პრობლემა, იქცა ფაქტათ. მე ვიცი, რომ თქვენ მთელი ენერგიით ხართ ამ საქმესთან.

— ხართ, თუ არა? — ხელმეორედ შეეკითხა კრებას მომხსენებელი განცვიფრებული იმით, რომ მაშინ, როდესაც ხალხის გუგუნს ელოდა, უეცრად გაჩუმდა ყველა.

— რას იზამ! — ეუბნებოდა მომხსენებელი თემსაბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც ქალაქელი სტუმარი თავის სახლში სადილად მიიპატიჟა, — ჯერ კიდევ ბნელია ხალხი!

გამგონე.



# მამალიც დამნაშავე

მოსავლის დღისათვის თბილისში დიდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოეწყო.

ქუჩაში იმავალმა ტეფანემ სრულიად შემთხვევით ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში ამოყო თავი, სადაც აუარებელი ხალხი ირეოდა.

მას იღლიაში საცოდავათ ამოეჩარა ერთი სამწელ მოვლილი მამალი, რომელიც მთელ დღეს ატარა ქუჩიდან - ქუჩაში და ვერავის მიჰყიდა.

— ბიჭოს, ეს რა არის! — გაოცებით გაალო პირი ტეფანემ და კედელთან მწკრივად გაშლილს სხვადასხვა საქონელს გააყოლა თვალი.

წინა ხაზზე ჯიშიან ძროხების რიგი იდგა. ერთი ორწლიანი ბუღა უზარმაზარ მთასავით აყუდებულიყო და 50 ფუთს იწონიდა. ესაც არაფერი, მის გვერდით იდგა ჯიშიანი ძროხა, რომელიც 320 ფუთ რძეს იწველიდა წელიწადში.

ტეფანე გაოცდა, — ეს ბუღა თუ ნემეცური ჯიშისაა, ე ხევსურული ბუღა რალამ გაზარდა მთასავით?

ყბადაღებული ტეფანე, ახლა სალორეს მიადგა, სადაც 20 ფუთიანი ინგლისური ჯიშის ღორი იწვა. უკვირს ტეფანეს და სიზმარში გონია თავი. მას სოფელში ძროხაც ყავს, ღორიც, მაგრამ სად ეს სანახაობა და სად მისი საქონელი!

სალორე ჯიშიან ცხვრების ფარეხმა შესცვალა.

აი საკვირველება! თითო დეკეულის ოდენა ცხვარი დგა ფარეხში, აგერ ის ცხვარი 5-6 ფუთს იწონის, ტეფანეს ძროხა კი ბევრი-ბევრი 4-5 ფუთი გამოვიდეს.

არა, არა, ეს უსათუოდ სიზმარია! ტეფანე გიჟივით გარბის წინ, სადაც ჯიშიან ქათმებით სავსე ქანდარებია გაჭიმული.

აქ ხუთ-ხუთ თეიანი ვარიები და მამლები—ინდოურზე დიდებია. აგერ ის თეთრი ჯიშის ქათამი კი წელიწადში 300 კვერცხამდე სდებს. ზოგი ქათამი თორმეტ გირვანქამდე იწონის...

გაოცებული ტეფანე ხან ჯიშიან ქათმებს უყურებს, ხან იღლიაში ამოჩრილ თავის კუდგამხმარ მამალს,

არა, მეტის ატანა აღარ შეიძლება.

ტეფანე ცეცხლმოკიდებულივით გამორბის სამხედრო ტაძრის ეზოდან.

აი მას წინ ვიღაც ნახევრად ტიტველი გულმოღლეტილი ქალი შემოეხეხა, თეძოები სავსე, მკერდი თოვლივით, თეთრი, საურმე საბელი ძლივს შემოსწვდება...

ტეფანეს მაშინვე თავის მზისაგან დამწვარი და მიცვალებულივით გამხმარი ცოლი დაუდგა თვალ წინ...

— აქ ძროხაც, ცხვარიც, ღორიც, ქათამიც, ქალიც ქონით არის სავსე,— ჩემს ძროხას, ღორს, ქათამს და დედაკაცსაც კი კანი ძვლებზე აქვთ შემხმარი...

ბრაზმორეულმა ტეფანემ ჯავრი რომ ვერავიზე იყარა, იღლიაში ამოჩრილ მამალს დაუშინა თავში.

სანამ სოფელში ჩავიდოდა ტეფანეს უწყალო ცემით გზაში შემოჰკვდომოდა მამალი და სახლში რომ მივიდა, უარესად ბრაზმორეულმა ახლა თავის ცოლს დაუშინა...

— შე, ოჯახ დასაქცევო, რა იყო, რამ გაგახმო ეგრე ჩხირივით! ქალაქში ზოგი დედაკაცი თავთუხის ცომივითაა გაფუებული.

მეზობლები რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში, ტეფანეს იქნება ცოლიც შემოკვდომოდა.

მეორე დღეს ტეფანე თავის სოფლის აგრონომთან იყო და მასა ჰკითხავდა თავის ძროხის, ღორის, ცხვრისა და დედაკაცის გასუქების საშუალებას.

ნიახური.

# დაუსრულებელი სხდომა

ნადირობის წინ





— არ შეიძლება შესვლა! გამგეს სხდომა აქვს!

ნადირობის შემდეგ





— არ შეიძლება შესვლა! სხდომა ჯერ არ დამთავრებულა.

## ტყის ქურდი

სიმართლე უნდა თქვას კაცმა,—
ტყეებს სჭირია დაცვა.
ტყე სიცხისაგან გვფარავს,
(თუ რომ არავინ გვპარავს).
და ამავე დროს მიწას
ნიაღვრებისგან იცავს.
თუ კი ტყეა ჩვენი მაშველი
რათ სჩეხს მარტყოფის ტყეებს
მიშა ოშაყმაშვილი?
შეხეთ საბჭოს მეთაურს,
როგორ არა სცხვენია,
რომ ჩვენს სოფელს და ჩვენს ტყეს
სამტროდ შემოსჩენია!

**დასკვნა**

რადგან მარტყოფში საქმე
იქამდე მიდის,
რომ თავმჯდომარე ოშაყმაშვილი
შეშას ქურდობს და ჰყიდის —
აღარაა საჭირო ბევრი
დავა, მტკიცება,
მოუხლება პასუხის
გებაში მიცემა.
მას ისე უნდა აეწვას
ქურდობით გასუქებული ლეში,
რომ შემდეგში შიშით.
ველარ შებედოს ტყეში.

ეკალი.

ჩვენი გაზეთის დამატებით 27 ოქტომბრიდან
გამოდის ორკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი
„შოლტი"
ამხ. გლეხებო! „შოლტი" თქვენი ჟურნალია!
ყველამ, ვინც ხელს უწყობს სოფლის საქმეებს
გამოიწერეთ თქვენი შოლტი.
მოგვაწოდეთ მასალები!

## „ვერ გაიგო"

— მე მრიცხავენ პარტიიდან, როგორც ყოფილ მამასახლისს. გაცნობებთ, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება. მამასახლისათ მე ვიყავ 1914 წლამდე, 1927-28 წლებში კი აღმასკომის თავმჯდომარის ადგილი მეკავა. ცხადია, რომ ეხლა მე ყოფილი მამასახლისი კი არა —ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე ვარ. ამიტომ გთხოვთ აღმადგინოთ პარტიაში, როგორც შეცდომით დათხოვნილი.

## „კულტმუშაკი"

აღმასკომის თავმჯდომარეს უსაყვედურეს კულტურულ მუშაობას არ ეწევიო.

— კულტმუშაობასთან ჩემზე ახლო მდგომი კაცი სოფელში არავინა გვყავთ,—იმართლა თავი თავმჯდომარემ, — წარმოდგენა არ დაიდგმება, რომ მე ჩემის ცოლშვილით პირველ რიგში არ ვიჯდე.

მასწავლებელი: — რა იმყოფება დედამიწის შუა გულში?

მოწაფე: — კულაკების მიერ შენახული ხორბალი!

# ლევანას სიზმარი



ნასადილევს ლევანი ჩვეულებრივად ტახტზე წაკოტრიალდა და საძილოდ მოემზადა.

უფროსი ვაჟი სიმონა გაზეთს კითხულობდა.

— რაო?—იკითხა ლევანამ—ჩინჩი-კაი იმარჯვებს?

სიმონამ წაუკითხა ყველა დეპეშები, რომელიც ჩინელ ხუნხუზების და თეთრგვარდიელ გაყაჩაღებულ ოფიცერთა რაზმების თავდასხმას ეხებოდა.

— გაიმარჯვებენ! მე მითქვამს, რომ გაიმარჯვებენ! ანასუნ მაშინ თქვენ საქმეს კომუნისტებო! მოგტეხავთ კისერს! — იმუქრებოდა ლევანა.

— მოგასწროს მამა ზეციერმა! — ნატვრა დაულოცა ცოლმა.

— მოგეცა ლხენა, დავიბრუნე ჩემი მიწები. გავინაღდე თამასუქები...

— მარიამ! ხედავ რამსისხოა ეს ფეხი?—ჰაერში ამართა ლევანამ ჯირკვივით რგვალი ფეხი — აი ამხელა სანთელს აუნთებ იმ შენ მიქელ-გაბრიელს. მამა ნუ წამიწყდება!

ტკბილი ოცნებით გატაცებულ ლევანას მალე ჩაეძინა.

ლევანამ სიზმარი ნახა: მოვიდა მასთან მიქელ - გაბრიელი და კომუნისტების დამხობა ახარა:

— ეხლა შენია ყველაფერი! —უთხრა მიქელ-გაბრიელმა — მოიხმარე, როგორც გინდოდეს. ყველა, ვინც შენი მტერი იყო, აწვალე და აწამე. გაძლევ ხმის უფლებასაც, ოღონდ შემომწირე, რასაც დამპირდი!

სიზმარი გრძელდებოდა: ლევანამ ყველაფერი დაიბრუნა. თავისი რომ არ იკმარა, სხვისაც მიისაკუთრა.

რადგან დაპირებულის შესრულება დაუგვიანდა, ხელმეორედ გამოეცხადა მიქელ-გაბრიელი.

— სანთელს ამდენი ხანია ველი და არ მეღირსა! — უსაყვედურა მიქელმა — ხომ არ დაგვიწყნია?

— მოგართმევ შენ ნუ მომიკვდები! აქამდე არ მეცალა! ან რა გეჩქარება! სიტყვას აუცილებლად შევასრულებ! — იმედებდა ლევანა.

ლევანამ სიზმარში ჩინელი გენერალი ნახა — ჩინ-ჩი-კაი — როგორც თითონ ეძახდა.

გადაჰკოცნა, სადილად მიიპატიჟა. და სწორედ იმ დროს, როცა ჩინ-ჩი-კაისთან ყანწით ალავერდს გადიოდა, კიდევ მოვიდა მიქელ-გაბრიელი და კიდევ სთხოვა სანთელი.

— რა გამიჭირვე საქმე, შენი სანთელით! — მიაყვირა ლევანამ — გიჟი ვარ ორი ფუთი სანთელი ტყუილად მოგცე!

მიქელ - გაბრიელი არ მიდიოდა. გაბრაზებულმა ლევანამ მუშტი მოუქნია.

ლევანას უეცრად ტკივილისაგან გამოეღვიძა. ძილში მოქნეული მუშტი ტახტის ყურეს მოხვედროდა.

— შევცოდე, მარიამო, შევცოდე! — ძლივს ლაპარაკობდა ლევანა— შევცდი, მიქელ-გაბრიელის მოტყუება მოვინდომე, ამდენ ქონებას მიბრუნებდა და შეპირებულ სანთლის მიცემა დამენანა. სულ იმ ოხერ ჩინ-ჩი-კაის ბრალია, იმ ურჯულოსი!

— რა სიკეთე იმას აყრია, შენ რომ სიკეთე გიყოს?! — აწირპინდა მარიამი.

— ვისა, ქალო? — გაკვირვებით იკითხა ლევანამ.

— ვისა და იმ შენ ჩინ-ჩი-კაის... ისე მოუცხიათ, რომ მიქელ-გაბრიელი კი არა, ქრისტე ველარ უშველის! აი, ნახე რა სწერია...

— მერე იყოს, მერე... მაცალე დავიძინო... სიზმარში მაინც ვნახო რამე სასიკეთო!

ლევანა მეორე გვერდზე გადაბრუნდა და მალე ისევ ტკბილ სიზმარს მისცა თავი.

გოგოლა.



საჩუქრად ჩამოტანილი
დადგეს, გამართეს რადიო.
გაფუჭდა... კულტკომისიას
არა აქვს მისი დარდიო.





სამკითხველოს კლიტე ადევს
და გამგე კი დადის უქმად,
წიგნები და გაზეთები
გაუხდია თაგვის ლუკმად!



ნატომ ძროხას არ აჭამა
დაულია ძალა, ქანცი,
ამიტომაც რძის მაგიერ
მან მიიღო მხოლოდ ბრანწი.



შეხედავ, უცბად ვერ იცნობ
რომელი არის ბურჟაკი.
სულითაც არ განირჩევა
ღორისგან თედო [illegible]კი!



წინად სამება იყო ცაზედა,
ეხლა ის დარჩა ქვეყანაზედა.
არვინ ამღერა ჩვეულ ჰანგზედა.
ველარ გახლავან ხახაიზედა!




## ვინც საზოგადო ფულს აშინაურებს — რაიკომი მას აწინაურებს

ვალიკო გუდაძე 1928 წლიდან მუშაობდა ქორეთის გლეხკომის თავმჯდომარედ, რომლის მოღვაწეო-



ბამ იმსხვერპლა 4.000 ძირი გლეხკომის ნამყენი ვაზის ნერგი და „ცოტაოდენი" საზოგადო ფული. ეს „გმირი" მკვლელობაზე იყო პასუხისგებაში მიცემული და პირობითი სასჯელიც მისცეს. მიუხედავად ამისა, ის ამ დღეებში საჩხერის პარტკომში დანიშნეს საქმეთა მმართველად.

გუდაძე რომ ასე უდარდელად გალობს — ეტყობა ვილაც სწყალობს. და იმის ნაცვლად, რომ მას პანღური უჭიროს მაგრა — პირიქით, თანდათან ეწევა მაღლა... ამაზე მეტი რა უნდა ითქვას — საოლქო პარტკომს ვაძლევთ სიტყვას!

## მხეცურად იქცევა განგებ — საგვოთა აფთიაქის გამგე

ხორგის თემის აფთიაქის გამგე ცლიმენტი კოდუამ აფთიაქში ვითომც დარაჯათ აიყვანა თავისი ცოლის - და,— კულაკის შვილი, — რომელიც ადგილობრივმა კომუჯრედმა მოახსნევინა. მის მაგიერ დარაჯათ გაუგზავნეს ობოლი, უპატრონო ბავში, კირტია, რომელსაც აფთიაქის გამგე აგინებს, დღე და ღამ ამუშავებს თავის საქმეზე, არც აჭმევს, არც ასმევს, მას უნდა, რომ ბავში გაიქცეს და მის მაგიერ ისევ თავის ცოლის-და მიიღოს.

აშკარაა გამგე საცოდავ მოჯამაგირეს — განგებ ლანძღავს და აგინებს... მას უნდა დააფრთხოს ის ჩხუბით, ომით და ზედმეტი შრომით. მაგრამ სად არის საბჭო, რომ ამ გამგეს უპიროს — ერთი კაი პანღური უჭიროს!?!

## თუ წამოსკუპდი ნოქრად — იცხოვრებ და იქეიფებ ოხრათ

ჩხარის რაიონის თუზის კოოპერატივის ნოქრად მსახურობს ვლადიმერ კოტესძე მაჩიტაძე, რომელიც თაფლში სცურავს, ვისაც უნდა აძლევს საქონელს, ვისაც უნდა —არა. უპირატესობას კი ლამაზ ქალებს აძლევს. ის ვაჭრობის დროს ყალთაბანდობს კიდეც. კოოპერატივის წევრებს აზომვის დროს ნახევარ მეტრობით აკლებს ფართალს, მონაგებით ქეიფობს და წალმა-უკულმა ისვრის რევოლვერს.

თუ პირში ეტყვი მართალს — ვერ ელირსები ფართალს... ხოლო ლაპარაკი არ დაგვჭირდება ამაზე — თუ ხარ ცოტაოდენათ ლამაზი!... აი კოოპერატივს თუზის - თავში როგორი „მოღვაწე" უზის!.. ეტყობა კოოპერატივის გამგეობიდან ჩხარში — მას ვილაც ამოსდგომია მხარში, თორემ ამ უსაქმურსა და უქნარას —გამგეობამ რატომ აქამდე არა უქნარა?!.

## საქმე თუ მიდგა გალახვაზე —აქ ბრძანდება თალაკვაძე

ოზურგეთის სამფინგანის გამგის მოადგილე თავხედათ ექცევა საქმეზე მისულ გლეხებს. უყვირის, აგინებს, ცემით ემუქრება: — იქით გადექი, თორემ თუ გაგცხე— ქუჩაში გადაგაგდებო. ეს ვაჟბატონი მაგარ-მაგარი ბიუროკრატია. ხან სულ არ მოდის სამუშაოზე, ხან მთელი საათობით იგვიანებს. მან თავისი უმცროსი ძმა მოაწყო სამსახურში იმავე სამფინგანში....



რაკი თალაკვაძემ ინება — გლეხების ლანძღვა და გინება, ნუ თუ მწმენდავ კომისიისათვის ძნელი იქნება — ამ ბიუროკრატის მიგნება? ან ოზურგეთის ალმასკომს ისეთი რა სჭირს, რომ თავიდან ვერ იშორებს ამ ჟამსა და ჭირს?!,

## „არშიყობა ძნელია — ძნელი მოსათმენია"

ახალდაბის ფოსტის გამგე ირაკლი ლონლაძე დღე-მუდამ არშიყობაშია გართული, ფოსტა კი დაკეტილი აქვს.




რადგან გამგე ახალდაბაში — საქმეს სცვლის კაბაში, მას მოუხდება კისერში ხელის წავლება და რიგიანად ჭკუის სწავლება...

## საჭამიასერელი ძნელაძე ბრძანებლობს ყველაზე

საჭამიასერის ალმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ძნელაძე უხეშათ ექცევა გლეხებს. ამას წინათ საგზაო ხუთდღიურის ჩატარების დროს, მან სცემა ერთ ღარიბ გლეხს. თავმჯდომარე კვინტრაძე ასეთ მოვლენებს ყურადღებას არ აქცევს...

რაკი ძნელაძეს თავი ბატონი ჰგონია — მოვცხოთ შოლტი, მეტი რა ღონეა! ხოლო რადგან კვინტრაძე ძნელაძეს უწყობს ხელს, — მასაც მოვანახვიებთ ხვრელს,

## კოლექტივის წევრი გზირათ— ასე ხდება ხშირად!

კოლექტივის მუშაობის შეფერხების მიზნით კახეთის ოლქის სოფელ მატანის კულაკებმა სას ლო ყრილობას სოფლის გზირათ აარჩევინეს ამხ. შაქრო მარუქაშვილი. კულაკებს უნდათ კოლექტივი დაშალონ და ამას ვერ მიხვდენ მხოლოდ ყრილობის მესვეურები...

მატანელო მესვეურებო, საქმის წინაშე სტყუით — რადგან კულაკებმა გაჯობეს ჭკუით! რათ აირჩიეთ გზირათ კოლექტივის წევრი, როდესაც მაგ ადგილის მსურველი სხვაც იყო ბევრი?! დროზე თუ არ გამოასწორებთ საქმეს, ვერ გადაურჩებით საზრეს!

# შ ე ც დ ე ნ

ევნატე მინდორაშვილი კარგათ შეზარხოშებული ბაზრიდან შინ ბრუნდებოდა.

ევნატეს ბედაურმა კარგათ იცოდა გზა და აქამდე სახლშიც იქნებოდა, მაგრამ უფრთხილდებოდა პატრონს, რომელიც მოტეხილ ტოტივით ქანაობდა ცხენზე.

ევნატე სთვლემდა. ნახევრად მძინარეს თვალწინ წარმტაცი სურათები ეშლებოდა.

უეცრად გაქრა სიზმარი. ცხენიდან გადაკოტრიალებული ევნატე მდინარეში ჩაგორდა.

— ხალხნო-ო, ვინა ხართ! მიშველეთ! — ისმოდა ევნატეს საზარელი ხმა შუაღამისას.

ხიდზე სამი კაცის ლანდი გამოჩნდა.

— ვინ არის? რა ამბავია! —გადასძახა ვილაცამ.

— მე ვარ, გენაცვალეთ; მიშველეთ რამე, ვიხრჩობი!

— იხრჩობი!?— ხო-ო, ასეთი ამბები ხშირათ ხდება ჴლმე — მოისმა ხიდიდან ზანტი ხმა,— გასულ კვირასაც გადავარდა ერთი კაცი ხიდიდან... რომ არ მიშველებოდნენ, დაიხრჩობოდა...

— გუშინ კიდევ კამეჩმა მოიტეხა ფეხი, საწყალი გლეხი თავს იკლავდა — დაუმატა მეორემ.

— კაცო, რა დროს ლაპარაკია!.. მიშველეთ, გავიყინე!..

— გიშველოთ? რატომ, შველას დიდი არაფერი უნდა, შეიძლება გიშველოთ კიდეც, მაგრამ ის ბავში მენანება, ამას წინათ რომ დაიხრჩო...

— თქვენში ადამიანი არავინ არის? მიშველეთ, ჩამძირა-ა-ა!!! — დაიღრიალა ევნატემ.

ორი ბიჭი გადახტა წყალში. მალე ევნატე ნაპირზე გამოათრიეს.

სამი კაცი პირდაღებული შესცქეროდა ევნატეს. უყურებდენ და თავიანთ თვალებს არ უჯერებდენ.

—კაცო, შენ ვინა ხარ?! —ჰკითხა ბოლოს ერთმა.

— ნიგვზიანელი გლეხი, ევნატე მინდორაშვილი ვარ.

— ბოდიში ჩემო ძმაო, — წამოიძახა ერთმა და გადაეხვია ევნატეს, —შენი წყალში გადავარდნა ჩვენი ბრალია, ეს მანე ჩვენ მოგიწყეთ... მეორე წელიწადია ხიდი არ შეუკეთებიათ... მრავალი საქონელი იმსხვერპლა ამ ხიდმა, მაგრამ ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე ყურსაც არ იბერტყავს. დღეს შორიდან შენ რომ დაგინახეთ, ჩვენი თავმჯდომარე გვეგონე და ხიდზე ეს დანარჩენი ორი ფიცარიც ავყარეთ— ვიფიქრეთ, რაკი თვითონ დაზარალდება, ხიდის კეთებას შეუდგება-თქო..

მინდერიანის გლეხებიც ასე მოიქცნენ და დღეს მშვენიერი ხიდი აქვთ.

ჭინკა.



— ამხ. მილიციელო, ჭკუა ასწავლე ამ ვერანას!

— ეგრე იყოს... ხომ ხედავ, ანტირელიგიურ კამპანიას აწარმოებს!

# ჩვენი ფოსტა

**მაღალს** (საგარეჯო) — ძალიან ცნობისმოყვარე ფოსტის გამგე გყოლიათ. მაშ ხსნის და კითხულობს სხვის წერილებს? გაზეთებსაც ითვისებს და ჰყიდის? ბარაქალა მის ბიჭობას! დავბეჭდავთ თქვენს წერილს... აუცილებლად... ასეთი ღირსეული კაცის სახელი ისტორიას როგორ უნდა დაეკარგოს!

**უიულიუოს** (დვაბზუ)—
„ვმღერი და ვმღერი მთელი დღე
ვიძახი არიარალეს“.

მეტი საქმე არაფერი გაქვს? დაგიმშვენდა თავი კარგად მოვლილი ყანა და ბაღი გექნეს!

**სტუმარს** (ახალდაბა)—

ურჯულოები გამრავლდენ
ქვეყანა გადაირია,
ნამთარში ზაფხული მოდის,
„შაშვივით გალობს ვირია“.

რომელ ვარსკვლავიდან ჩამობრძანდი „სტუმარო“? დაბრუნდით, საიდანაც მოსულხართ. რაც უფრო მალე, მით უკეთესი იქნება!

**არაბულას** (ლაილაში) — მონაწილე ვართ თქვენი მწუხარების. თქვენმა მოთხრობამ ვერ გადაიტანა „შოლტის“ აპერაცია.. დიდის პატივისცემით გადაუძახეთ სარედაქციო გოდორში.



— როგორ არ გრცხვენიათ, სოფელში მხოლოდ ერთი კოლექტივი ჩამოაყალიბეთ!

— მაშ რა გვექნა, როცა მთელი სოფელი გაერთიანდა ერთ კოლექტივში?!

**კიმოთეს** (ნაგომარი) — დაიბეჭდება.

**კიკოლიკოს** (კვალითი) — გვეკითხებით, როდის დაიბეჭდებაო? უცადეთ, სანამ არ მოგეწყინებათ.

**უვიჩილს** (ბანოჯა)— იწერებით: „თუ მასალა არ მოგეწონათ, გოდორში ნუ ჩააგდებთ, ლმობიერად მოექეცით“-ო, ვასრულებთ თქვენ თხოვნას—ცეცხლი წაუკიდეთ. ხომ ხართ კმაყოფილი?

**ოგოლს** (ნიგვზიანი) — დაიბეჭდება უახლოეს ნომერში.

**ცისკარას** (ბანძა) „რათაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაბეჭდეთ“-ო.

ოქროთიც რომ აგვავსოს, მაინც არ დავბეჭდავთ.

**ცალთვალას** (ლიხი) — „ეს ქვეყანა მრუდეაო“, —სწერ ლიხის შესახებ. გაახილე მეორე თვალი, შეიძლება მაშინ დაინახო რომ სწორია! მანამდე ვერ დაგიჯერებთ.

შ 82
1929

# პურის დამზადება



უკულმა შეუტრიალდა
კულაკს ცხოვრების ბორბალი.
გლეხობამ კოოპერატივს
მისცა პური და ხორბალი...



მიხა მოტყუვდა სირეგვნით,
ბობოლამ გასჭრა ღვინითა—
და მას მიართვა ხორბალი
სიმღერითა და ლხინითა...



გამოზაფხულდა, სოფელში
თესვა და ფარცხვა ხშირია.
კოოპერატივს მიადგა —
ვისაც სათესლე სჭირია...




მიხაც მიადგა ბობოლას
ნათლი-მამური გუმანით...
— პასუხად დახვდა: ერთ ფუთში
მერგება ერთი თუმანი.



ვინც ენდო კოოპერატივს
და არ მოექცა შურითა,
გაზაფხულზე აქვს სათესლე
თონეც სავსე აქვს პურითა...



ვისაც კულაკი ეგონა
სოფლად ყველაზე ძლიერი, —
ზის და მწუხარედ ქვითინებს, —
ცოლშვილიც დარჩა მშიერი!..